# ხელშეკრულება №11

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. ბათუმი 03 იანვარი 2013 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (II თავის, მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის) და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23 -ე მუხლის II პუნქტის "ა" ქვეპუნქტის) საფუძველზე.

ერთის მხრივ **შპს "ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა"** შემდგომში ***„შემსყიდველი"*** და მეორეს მხრივ **ი/მ "ბიჭიკო მაისურაძე"** შემდგომში ***„მიმწოდებელი"*** ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.

.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს "შემსყიდველს" **ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურეობები (79800000)**

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს **(5000)** ლარს.

2. გარანტია.

2.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

3. ანგარიშსწორება.

3.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარდგენის შემდეგ 3 საბანკო დღის განმავლობაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5. სადაო საკითხების გადაწყვეტა.

5.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

5.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

6. გამოყენებული სამართალი.

6.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

*შპს "ბათუმის № 1 პოლიკლინიკა"*
*ტბ აბუსერიძის № 2*
*ანგარიშის №* GE05TB7370636080100001
*საიდენტიფიკაციო კოდი №245 426 392*
*მიმღების ბანკი: სს"თიბისი ბანკი"*
*ბათუმის მე-9 სერვისცენტრი*
*ბანკის კოდი:* TBCBGE22

დირექტორი: /თ. შარვაშიძე/

„შემსრულებელი"

*ი/მ "ბიჭიკო მაისურაძე"*
*ქ. ქობულეთი აღმაშენებლის 151*
*ანგარიში № 136012150*
*საიდენტიფიკაციო კოდი: №61004039742*
*მიმღების ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"*
*ცენტრალური [illegible]*
*ბანკის კოდი:* № LBRTGE22

ი/მ ბ. მაისურაძე